



შენაბამისობის აუდიტის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„პამტკიცება“

სოციალური სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
ზაზა შეყილაძე

3 ნოემბერი 2020 წელი

N 32/36

ეგზ.: N1

ა(ა)იპ - საქართველოს ჯანდაცვის ფუნქციონირების
საქმიანობის 2017-2019 წლების შესაბამისობის
აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	3
	შემაჯამებელი მიმოხილვა	4
	რეკომენდაციები	4
	1. შესავალი	6
	ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	6
	აუდიტორის პასუხისმგებლობა	6
	აუდიტის საგანი	6
	აუდიტის მასშტაბი	6
	აუდიტის კრიტერიუმები	6
	აუდიტის მიზანი	8
	აუდიტის მეთოდოლოგია	8
დანართები	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	9
	2. აუდიტის მიგნებები	9
	2.1 2018 წლის 43-ე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა	10
	2.2 შესყიდვები	15
	2.3 შიდა კონტროლის ნაკლოვანებები	16
	საკონტაქტო ინფორმაცია	19

ტერმინები და შემოკლებები

გამგეობა – ა(ა)იპ – საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის გამგეობა.

ფედერაცია – ა(ა)იპ – საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია.

FIDE – ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაცია.

ოლიმპიადა – 2018 წლის მსოფლიო 43-ე საჭადრაკო ოლიმპიადა.

საორგანიზაციო კომიტეტი – ა(ა)იპ – 2018 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტი.

აკადემია – ა(ა)იპ – თბილისის საერთაშორისო საჭადრაკო აკადემია.

ოლიმპიადის ორგანიზატორები – 2018 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტი და საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია.

სამთავრობო კომისია – 2018 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის ჩატარების ხელშემწყობი სამთავრობო კომისია.

სამთავრობო კომისიის საორგანიზაციო კომიტეტი – 2018 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის ჩატარების ხელშემწყობი სამთავრობო კომისიის საორგანიზაციო კომიტეტი.

კავშირის წესდება – ა(ა)იპ – საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის წესდება.

სამინისტრო – საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო.

შრომის კოდექსი – საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“.

ანგარიშსწორების წესი – „საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტის სფეროში ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2011 წლის 19 დეკემბრის N180 ბრძანება.

დაფინანსების წესი – „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ აღიარებული სპორტული ორგანიზაციების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ სამინისტროს 2018 წლის 10 მაისის N03/172 და 2019 წლის 23 იანვრის N 69 ბრძანებები.

განვითარების პროგრამა – საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის N748 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ჭადრაკის განვითარების სახელმწიფო პროგრამა“, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N86 ბრძანებით დამტკიცებული „ჭადრაკის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა“.

შემაჯამებელი მიმოხილვა

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა (ა)იპ – საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის მიერ მიერ 2017-2019 წლებში განხორციელებული საქმიანობის შესაბამისობის აუდიტი.

მსოფლიოს 43-ე ოლიმპიადა

აუდიტის შედეგად გამოვლინდა შემდეგი ნაკლოვანებები:

- 1) სპორტული ღონისძიებისთვის ხელმისაწვდომი ალტერნატიული დაფინანსების პირობებში გაიხარჯა საბიუჯეტო რესურსები, რამაც ფედერაციის საკუთარ ბიუჯეტში წარმოშვა დამატებით 903,544 ლარი. აღნიშნული ფულადი სახსრები ფედერაციამ გახარჯა სამთავრობო კომისიისა და სამინისტროს ნებართვის გარეშე, რამაც წარმოშვა საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანი ხარჯვის რისკები;
- 2) ხელშეკრულებით არ არის იდენტიფიცირებული და შედეგად, გაუმჭვირვალეა ფედერაციის მხრიდან FIDE-ის წინაშე ნაკისრი ფულადი ვალდებულებების განსაზღვრის საფუძვლები. რიგ შემთხვევებში მოცემული ვალდებულებების მიხედვით ანგარიშგებისა და ხარჯვის დადასტურების კონტროლის მექანიზმი სუსტია.

შესყიდვები

ფედერაციის მიერ სხვადასხვა ინვენტარის/ეკიპირების/ აღჭურვილობისა და მომსახურების შესყიდვისას, მიმწოდებელი კომპანიების შერჩევა რიგ შემთხვევებში ხდებოდა ბაზრის კვლევის და შესაბამისად, ალტერნატიული შეთავაზებების განხილვა/შეფასების გარეშე.

შრომითი ხელშეკრულებები

- 1) შრომითი ურთიერთობები რიგ შემთხვევებში არ ეფუძნება შრომის კანონმდებლობის მოთხოვნებს: არ არის განსაზღვრული და წერილობითი ფორმით შეთანხმებული ისეთი არსებითი პირობა, როგორიცაა, შესასრულებელი სამუშაო. შესაბამისად, გაურკვეველია კონკრეტულად რა სახის სამუშაოებს ასრულებს დასაქმებული პირი, რაც სუსტი შიდა კონტროლის პირობებში იწვევს საჯარო სახსრების არაეკონომიურ და არაეფექტიან განკარგვას და ზრდის ფიქტიური შრომითი საქმიანობის ანაზღაურების რისკებს.
- 2) თანამშრომლებთან ზეგანაკვეთურ სამუშაოებთან დაკავშირებით გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების წესი და ოდენობა განსაზღვრული არ არის.

რეკომენდაციები**სამინისტროს და ფედერაციას:
რეკომენდაცია N1**

საბიუჯეტო სახსრების კანონშესაბამისი, მიზნობრივი და ეფექტიანი ხარჯვის მიზნით, შეთანხმდეს და დაინერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც სპორტული ღონისძიების ხარჯების დაფინანსების ალტერნატიული წყაროს არსებობისას, უზრუნველყოფს გამოუყენებელი საბიუჯეტო სახსრების შემდგომი განკარგვის თაობაზე დროულ და ეფექტიან კომუნიკაციას.

ფედერაციას:**რეკომენდაცია N2**

საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის გამჭვირვალობის მიზნით:

-) FIDE-სთან შეთანხმებული ფორმატით განისაზღვროს მის მიმართ ფინანსური ვალდებულებების აღების კონკრეტული საფუძვლები/კრიტერიუმები და შეთანხმდეს შესაბამის უფლებამოსილ პირ(ებ)-თან და/ან მართვის ორგანო(ებ)-თან.
-) ხელშეკრულებით განისაზღვროს და დაინერგოს ანგარიშგების ისეთი სისტემა, რომელიც შესაბამისი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს გამოყოფილი საბიუჯეტო თანხების მიზნობრივ ხარჯვაზე კონტროლს.

რეკომენდაცია N3

საჯარო უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ეკონომიურობისა და ეფექტიანობის პრინციპების დაცვის მიზნით, კავშირის მიერ საქონლის და მომსახურების შესყიდვა განხორციელდეს ბაზრის კვლევის ეტაპზე ალტერნატიული შეთავაზებების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე.

რეკომენდაცია N4

დასაქმებული პირის მიერ გაწეული საქმიანობის შეფასების მიზნით, შრომითი ხელშეკრულებით კონკრეტულად განისაზღვროს დასაქმებულის მიერ შესასრულებელი სამუშაოების სახე ან კონკრეტული თანამდებობრივი პოზიციის მიხედვით შემუშავდეს სამუშაო აღწერილობები. სამუშაო დროის აღრიცხვის მიზნით დაინერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს შრომის ანაზღაურების მატერიალური საფუძვლების შექმნას.

რეკომენდაცია N5

კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით განხორციელდეს აქტივების ინვენტარიზაცია და მისი შედეგების შეფასების საფუძველზე უზრუნველყოფილ იქნეს მათი ეფექტიანი მართვა.

1. შესავალი

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა	ფედერაციის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია განხორციელებული საქმიანობის მოქმედი კანონმდებლობით და სხვა მარეგულირებელი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაზე, ასევე, აუდიტის მიზნებიდან გამომდინარე, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის მოწოდებული ინფორმაციის სისრულესა და სისწორეზე. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ასევე მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა საფინანსო-ეკონომიკური საქმიანობის პროცესის იმგვარი წარმართვისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით კანონშეუსაბამობებს.
აუდიტორის პასუხისმგებლობა	აუდიტორი პასუხისმგებელია აუდიტის ანგარიშში ასახული გარემოებების სისწორეზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტის (ISSAI 4000-4899) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტით მოითხოვება, რომ აუდიტორის სამუშაო შეესაბამებოდეს ეთიკის ნორმებს და ითვალისწინებს აუდიტის იმგვარად დაგეგმვასა და ჩატარებას, რომ მოპოვებულ იქნეს საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებები იმის შესახებ – ა(ა)იპ – საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის მიერ 2017-2019 წლებში განხორციელებული საქმიანობა შეიცავს თუ არა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან არსებითი შეუსაბამობის ფაქტებს. აუდიტის ანგარიში არ წარმოადგენს საქმიანობის კანონმდებლობასთან სრულად შესაბამისობის გარანტიას. აუდიტის პროცესის თანდაყოლილი შეზღუდვების გამო, აუდიტის მსვლელობისას არსებობს რისკი, რომ გარკვეული შეუსაბამობები დარჩეს შეუმჩნეველი, იმის მიუხედავად, რომ აუდიტი დაიგეგმა და შესრულდა საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. აუდიტი წარიმართა აუდიტორების პროფესიულ მსჯელობაზე დაყრდნობით, დასაბუთებული რწმუნების მისაღებად, რაც მოიცავს პროცედურების ჩატარებას იმ შეფასებულ მნიშვნელოვან კანონშეუსაბამობების რისკებზე, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. მიგვაჩნია, რომ ჩატარებული აუდიტორული პროცედურები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული დასკვნების გამოსატანად.
აუდიტის საგანი	აუდიტის საგნად განისაზღვრა ა(ა)იპ – საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საქმიანობის შესაბამისობა მოქმედ საკანონმდებლო და სხვა მარეგულირებელ ნორმებთან.
აუდიტის მასშტაბი	აუდიტმა მოიცვა ფედერაციის მიერ 2017-2019 წლებში განხორციელებული საქმიანობა.
აუდიტის კრიტერიუმები	აუდიტის ძირითად კრიტერიუმებად განისაზღვრა შემდეგი საკანონმდებლო და მარეგულირებელი ნორმები:)/ საქართველოს კანონი „სპორტის შესახებ“;)/ საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს შრომის კოდექსი“;

-)/ „საბიუჯეტო ასიგნებებიდან სპორტის სფეროში ღონისძიებების დაფინანსებისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვისა და ანგარიშსწორების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრის 2011 წლის 19 დეკემბრის N180 ბრძანება;
-)/ „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ აღიარებული სპორტული ორგანიზაციების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ სამინისტროს 2018 წლის 10 მაისის N 03/172 ბრძანება;
-)/ „საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ აღიარებული სპორტული ორგანიზაციების დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ სამინისტროს 2019 წლის 23 იანვრის N 69 ბრძანება;
-)/ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 დეკემბრის N7488 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ჭადრაკის განვითარების სახელმწიფო პროგრამა“;
-)/ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N 86 ბრძანებით დამტკიცებული „ჭადრაკის სახელმწიფო მხარდაჭერის პროგრამა“;
-)/ „მოსამსახურეთათვის სამსახურებრივი მივლინების ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 20 აპრილის N231 ბრძანებულება;
-)/ „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ბუღალტრული აღრიცხვის დროებითი სტანდარტისა და ბუღალტრული აღრიცხვის ანგარიშთა გეგმის სტრუქტურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პარლამენტთან არსებული ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების კომისიის 2005 წლის 5 აპრილის N10 დადგენილება;
-)/ „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის დამტკიცების შესახებ“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2018 წლის 26 ივნისის ბრძანება N 6-9;
-)/ „დაქირავებულისათვის გადახდილი სამივლინებო ხარჯების ნორმების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2005 წლის 5 აპრილის N220 ბრძანება;
-)/ ღონისძიებების დაფინანსების მიზნით, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და კავშირის შორის გაფორმებული ხელშეკრულებები;
-)/ ა(ა)იპ – საქართველოს ჭადრაკის განვითარების წესდება;
-)/ ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციასა და 2018 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის ორგანიზატორებს¹ შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
-)/ ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციასა და 2017 წლის მსოფლიო თასის ორგანიზატორებს შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
-)/ 2017 წლის FIDE-ის მსოფლიო საჭადრაკო თასის და 2018 წლის მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის დებულებები;

¹ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის საორგანიზაციო კომიტეტი.

აუდიტის მიზანი

აუდიტის მიზნებია:

- ა) დასკვნის ჩამოყალიბება საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვების გზით იმის შესახებ, რამდენად შესაბამისობაშია აუდიტის საგანი სათანადო კრიტერიუმთან, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით;
- ბ) აუდიტის ანგარიშის მომხმარებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება მიგნებების, დასკვნებისა და სადაც შესაფერისია, რეკომენდაციების შესახებ.

აუდიტის მეთოდოლოგია

აუდიტის საგნის შესახებ ინფორმაციის მოსამზადებლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები:

- / აუდიტის ობიექტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის ანალიზი;
- / მარეგულირებელი საკანონმდებლო ნორმების შესწავლა-ანალიზი;
- / აღნიშნულ სფეროში არსებული კარგი საერთაშორისო პრაქტიკის მაგალითების შესწავლა;
- / ინტერვიუები აუდიტის ობიექტების თანამშრომლებთან და ფოკუსჯგუფებთან;
- / მონაცემთა ანალიზი (მონაცემთა ბაზების და მონაცემთა დოკუმენტური ანალიზი).

2. აუდიტის მიგნებები

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ


ა(ა)იპ – საქართველოს ჭადრაკის ფედერაცია არის საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე შექმნილი კერძო სამართლის საზოგადოებრივი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, სამოქალაქო კოდექსის, სპორტის შესახებ კანონის, FIDE-ისა და ფედერაციის წესდების შესაბამისად. მისი საქმიანობის ძირითადი მიზნებია: საქართველოში ჭადრაკის განვითარება; მაღალკვალიფიციურ მოჭადრაკეთა მომზადების სისტემის სრულყოფა; საქართველოს ნაკრები გუნდების მონაწილეობის უზრუნველყოფა მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადებში, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონატებში, აგრეთვე საერთაშორისო ტურნირებში; საქართველოს ჩემპიონატებისა და საქართველოში საერთაშორისო შეჯიბრებების ორგანიზება; FIDE-ისა და ევროპის საჭადრაკო კავშირში საქართველოს წარდგენა; ბავშვთა და მოზარდთა შორის ჭადრაკის დანერგვა და განვითარება; მოჭადრაკეთა, მწვრთნელთა და სპეციალისტთა სოციალურ საკითხებზე ზრუნვა.

ფედერაციის მართვის ორგანოებია: ყრილობა, გამგეობა, მზრუნველთა საბჭო და კომისიები. გამგეობა ასრულებს ფედერაციის მართვის ფუნქციებს, განსაზღვრავს ფედერაციის საქმიანობის პრინციპებს და ახორციელებს ზედამხედველობას გამგეობის გადაწყვეტილებებისა და წესდების მოთხოვნათა შესრულებაზე. ფედერაციის ხელმძღვანელობითი და წარმომადგენლობითი უფლება აქვს ფედერაციის პრეზიდენტს.²

ფედერაციის დაფინანსებამ 2017-2019 წლებში შეადგინა 38,525,956 ლარი, მათ შორის საბიუჯეტო დაფინანსებამ 33,389,671 ლარ (მთლიანი შემოსავლების 86%³ საკუთარმა შემოსავლებმა – 2,253,167 ლარი (6%)⁴ და საქართველოში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირებში მონაწილე სხვადასხვა ქვეყნის საჭადრაკო ფედერაციების მიერ ჩარიცხულმა თანხებმა (სარეგისტრაციო და სასტუმრო მომსახურების სახით 7%) – 2,883,118 ლარი.

სპორტული ღონისძიებების კალენდრით გათვალისწინებული საერთაშორისო და ადგილობრივი ღონისძიებების სახით 2017-2019 წლებში ფედერაციის ეგიდით ჩატარებულ იქნა 68 საერთაშორისო და 70 ადგილობრივი საჭადრაკო ღონისძიება/ტურნირი.

დიაგრამა N1 - ინფორმაცია 2017-2019 წლებში მიღებული დაფინანსების შესახებ




² რომელსაც ირჩევს ყრილობა 4 წლის ვადით.

³ სამინისტოდან მიღებული დაფინანსება – 31,540,831 ლარი, ქ. თბილისის მერიიდან ჩარიცხული 1,618,840 ლარი და ა(ა)იპ – ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტიდან მიღებული 230,000 ლარი.

⁴ სპონსორების დაფინანსება – 1,153,339 ლარი, იჯარიდან შემოსავლები – 268,339 ლარი და ბანკიდან საპროცენტო შემოსავლები 261,108 ლარი

ფედერაციის ხარჯებმა ამავე პერიოდში შეადგინა 38,325,158 ლარი. აქედან სპორტული ღონისძიებების ორგანიზების ხარჯები 33,766,872 ლარია⁵, ფედერაციის მართვასთან დაკავშირებულმა ხარჯებმა შეადგინა 2,882,720 ლარი⁶ და ა(ა)იპ – თბილისის საერთაშორისო საჭადრაკო აკადემიის დაფინანსების ხარჯებმა - 1,675,566 ლარი.

დიაგრამა N2 - ინფორმაცია 2017-2019 წლებში გაწეული ხარჯების შესახებ



2.1 2018 წლის 43-ე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადი

2014 წელს ნორვეგიაში გამართულ FIDE-ის კონგრესის გადაწყვეტილებით, 2018 წლის 43-ე მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის და FIDE-ის კონგრესის მასპინძელ ქვეყანად შერჩა საქართველო, ქ. ბათუმი. საქართველოს მთავრობის⁷ დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოში ჭადრაკის განვითარების სახელმწიფო პროგრამით⁸ განსაზღვრული ღონისძიებების დაფინანსების მიზნით გათვალისწინებული 36,705,149 ლარიდან ოლიმპიადის ხარჯების დაფინანსების მიზნით, ფედერაციისათვის გამოყოფილი იყო 23,250,000 ლარი. აქედან არსებითი ხარჯებია ღონისძიებაში მონაწილე ჩამოსულ სტუმართა სასტუმრო, კვებითი და სატრანსპორტო მომსახურება – 9,728,296 ლარი, FIDE-ის მიმართ ვალდებულებები – 7,168,476 ლარი, ოლიმპიადის გახსნა-დახურვის ცერემონიალის ორგანიზების ხარჯები – 1,127,900 ლარი.

2.1.1 გამოუყენებელი თანხების შეუსაბამო განკარგვა

კრიტიკუმი: სპორტული ღონისძიების ორგანიზებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება ხორციელდება სამინისტროსთან შეთანხმებული ხარჯთაღრიცხვის საფუძველზე. დაფინანსება ატარებს მიზნობრივ ხასიათს და ფედერაცია ვალდებულია უზრუნველყოს კონკრეტული ღონისძიების განხორციელებისათვის საბიუჯეტო სახსრების მიზნობრივი ხარჯვა. ფედერაციის ვალდებულებას სამინისტროს მიერ გამოყოფილი დაფინანსების ფარგლებში გამოუყენებელი ან არამიზნობრივად გამოყენებული თანხების უკან დაბრუნება. ოლიმპიადის ჩატარების შედეგად შემოსული თანხები იხარჯება

⁵ ოლიმპიადის ჩატარების ხარჯები 22,509,111 ლარი, მსოფლიოს თასის ჩატარება – 5,285,348 ლარი, ევროპის ვაჟთა და ქალთა ინდივიდუალური ჩემპიონატი – 1,010,402 ლარი და კალენდრით გათვალისწინებული ღონისძიებები – 4,962,011.

⁶ ხელფასები – 1,764,918 ლარი, სასახლის რემონტი – 679,973 ლარი, მატერიალურ ფასეულობათა შესყიდვები – 179,150 ლარი და სხვადასხვა ხარჯი – 258,679.

⁷ 2014 წლის 30 დეკემბრის N 748.

⁸ ცვლილებების გათვალისწინებით.

მხოლოდ სამთავრობო კომისიის მიერ განსაზღვრული პრიორიტეტების გათვალისწინებით.⁹

ფაქტობრივი გარემოება:

ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილში სავარაუდო ეკონომიის მიღების შესაძლებლობის გათვალისწინებით¹⁰ საჭადრაკო ოლიმპიადის საბიუჯეტო დაფინანსებამ 23,250,000 ლარის ნაცვლად შეადგინა 21,385,000 ლარი.¹¹ ოლიმპიადის დებულებისა და FIDE-ისთან გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, ოლიმპიადის მონაწილე ფედერაციების მიერ ორგანიზატორისათვის გადასახდელი (მოჭადრაკეთა რეგისტრაციის საფასური, შიდა სატრანსპორტო მომსახურება, დამატებითი საცხოვრებელი ადგილები და კვების მომსახურება) თანხების სახით ოლიმპიადის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხულია 2,027,655 ლარი. სულ ოლიმპიადის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების მთლიანმა დაფინანსებამ შეადგინა 23,412,655 ლარი. ფაქტიურად კი ოლიმპიადის ღონისძიებებისათვის ფედერაციის მიერ გახარჯულია 22,509,111 ლარი. აქედან გამომდინარე, მოცემული ღონისძიების მიხედვით ფულადი სახსრების თავისუფალმა, გამოუყენებელმა ნაშთმა შეადგინა 903,544 ლარი.

აღნიშნული თანხა სამთავრობო კომისიასთან, ოლიმპიადის ორგანიზატორებთან და სამინისტროსთან შეთანხმების გარეშე, ძირითადად, გაიხარჯა ფედერაციისა და მასთან არსებული სატელევიზიო სტუდია „ჭადრაკი ტვ-ის“ თანამშრომლების სახელფასო ანაზღაურებისა და ჭადრაკის სასახლის სარემონტო სამუშაოებისათვის.¹²

2.1.2 ვალდებულებები FIDE-ის მიმართ

ჭადრაკში 2017 წლის მსოფლიო ჩემპიონატის და 2018 წლის საჭადრაკო ოლიმპიადის საქართველოში ჩატარებასთან დაკავშირებით FIDE-სთან გაფორმებული სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად, FIDE-ის მიმართ ნაკისრი ფინანსური ვალდებულებები შეადგენდა სულ 14,858,491 ლარს.¹³ აქედან ოლიმპიადის ფარგლებში FIDE-ისთვის გადახდილია 3,470,123 ევროს ეკვივალენტი 9,974,491 ლარი¹⁴ (ოლიმპიადის ბიუჯეტის 41%). მისი სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება:

ცხრილი N1. საჭადრაკო ოლიმპიადის ფარგლებში FIDE-ის მიმართ გადახდები

დასახელება	EUR	GEL
ღონისძიებების გამართვის ლიცენზია	500,000	1,506,500
ინტერნეტუფლება, ოლიმპიადის სათამაშო დაფები და საათები	255,610	704,333

⁹ „დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ“ სამინისტროს 2018 წლის 10 მაისის N 03/172 და 2019 წლის 23 იანვრის N 69 ბრძანებები; კომისიის ოქმი N3, 20.02.2018 წ.

¹⁰ ფედერაციის წერილის საფუძველზე საჭადრაკო ოლიმპიადის მონაწილეთა რაოდენობიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

¹¹ სხვაობა 1,865,000 ლარი დაბრუნდა ბიუჯეტში.

¹² ფედერაციის ადმინისტრაციის თანამშრომელთა სახელფასო ანაზღაურების გადახდა ხდებოდა სპონსორული დაფინანსებით მიღებული საკუთარი შემოსავლებიდან. 2019 წელს კი სპონსორული დაფინანსება შეჩერებული იქნა.

¹³ 2017-2019 წლებში ფედერაციის ეგიდით განხორციელებული არც ერთი სპორტული ღონისძიების დაფინანსება FIDE-ის მიერ არ განხორციელებულა.

¹⁴ ფედერაციის მიერ – 7,829,849 ლარი და კომიტეტის მიერ – 2,144,62 ლარი

ინსპექტირება/შეხვედრები ან მასთან დაკავშირებული ხარჯები	115,000	364,745
FIDE-ის სპეცკომისიის მგზავრობის ხარჯები	33,700	102,249
FIDE-ის ხელმძღვანელი პირებისათვის განსაზღვრული სტიპენდიები	196,100	565,003
CACDEC ქვეყნისთვის ოლიმპიადაზე ყოფნისას განსაზღვრული თანხა ¹⁵	50,000	153,260
უცხოელი და ადგილობრივი არბიტრების ანაზღაურება	310,546	887,387
მგზავრობის გრანტი	1,193,480	3,433,140
საკონსულტაციო კომპანიის დაქირავება	287,290	849,052
მსოფლიოში ჭადრაკის განვითარებისათვის	528,396	1,408,820
სულ:	3,470,122	9,974,489

2017 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარების ხარჯებმა შეადგინა 5,285,348 ლარი. აქედან FIDE-ისთვის გადახდილია 1,776,000 აშშ დოლარის ეკვივალენტი – 4,884,000 ლარი (მთლიანი ხარჯების 92%). ვალდებულებების სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება:

ცხრილი N2. 2017 წლის მსოფლიო თასის ფარგლებში FIDE-ის მიმართ გადახდები

დასახელება	გადახდილია	
	დოლარი	ლარი
საპრიზო ფონდი	1,600,000	4,400,000
FIDE-ის ოფიციალური პირების სტიპენდიებისათვის	61,000	236,500
FIDE-ის ოფიციალური პირების თვითმფრინავის ბილეთების ღირებულება	25,000	
მსოფლიო ჩემპიონატისა და ოლიმპიადის კომისიის ბიუჯეტისათვის	40,000	110,000
ლონისძიების ჩატარების კომერციული უფლების გადასახადი	50,000	137,500
სულ:	1,776,000	4,884,000

წინააღმდეგობრივი კრიტერიუმები

ოლიმპიადის და FIDE-ის კონგრესის დებულების¹⁶ შესაბამისად, ღონისძიებაში მონაწილეობის მსურველი ფედერაციები ვალდებული იყვნენ გადაეხადათ მათი მგზავრობის ხარჯები ბათუმის აეროპორტამდე. აღნიშნული მოთხოვნის შეუსაბამოდ, FIDE-ის, ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტსა და ფედერაციას შორის გაფორმებული ხელშეკრულებით,¹⁷ ქართული მხარის ვალდებულებას FIDE-ის მიმართ წარმოადგენდა სამგზავრო სუბსიდიის

¹⁵ განვითარებადი ქვეყნები

¹⁶ მუხლი 4.5.

¹⁷ 28 დეკემბერი 2016 წელი.

სახით 1,200,000 ევროს გადახდა. სახელშეკრულებო პირობით აღნიშნული თანხა FIDE-ს უნდა გაენაწილებინა იმ ქვეყნების ფედერაციებისათვის რომლებსაც ესაჭიროებოდათ სამგზავრო სუბსიდია და ამის შესახებ¹⁸ 2018 წლის 31 მაისამდე ეცნობებინა ორგანიზატორებისათვის. FIDE ასევე ვალდებული იყო ორგანიზატორებისათვის წარედგინა ამ მიზნით დახარჯული თანხების სრული დოკუმენტაცია და ფინანსური ანგარიში, რაც არ განუხორციელებია. სულ მოცემული ღონისძიების ფარგლებში ორგანიზატორების მიერ სამგზავრო გრანტის სახით FIDE-ისთვის გადახდილია 1,193,480 ევროს ეკვივალენტი 3,433,140 ლარი.

კრიტერიუმი: საჭადრაკო ოლიმპიადის ფარგლებში გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად, „ყველა კონტინენტზე ჭადრაკის განვითარების“ სპეციალური პროგრამისათვის, გამოყოფილი 550,000 ევროს გადანაწილების შესახებ ოლიმპიადის ორგანიზატორებს, მსოფლიო ჩემპიონატისა და ოლიმპიადის კომისიას ერთობლივად უნდა მიეღოთ გადაწყვეტილება.

ვალდებულების განსაზღვრის გაუმჭირვალე საფუძვლები

ფაქტობრივი გარემოება: FIDE-სა და ორგანიზატორებს შორის დადებული ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ვალდებულებების უმეტესი ნაწილის მიხედვით არ არის უზრუნველყოფილი მათი განსაზღვრის საფუძვლები/კრიტერიუმების გამჭვირვალობა. ისეთ შემთხვევაშიც კი, როდესაც არსებობს გადახდილი თანხების გამოყენების ორგანიზატორებთან შეთანხმების პირობა, ეს მოთხოვნაც არაა დაცული, კერძოდ: „ყველა კონტინენტზე ჭადრაკის განვითარების“ სპეციალური პროგრამისათვის, გამოყოფილი 550,000 ევროს გადანაწილების შესახებ ოლიმპიადის ორგანიზატორებს, მსოფლიო ჩემპიონატისა და ოლიმპიადის კომისიის ერთობლივი გადაწყვეტილების ამსახველი აუდიტორული მტკიცებულებები აუდიტის ჯგუფმა ვერ მოიპოვა. ყველა კონტინენტზე ჭადრაკის განვითარებისა და სამგზავრო სუბსიდიისათვის გამოყოფილი თანხების ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტები აუდიტის ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე წარმოდგენილი იქნა აუდიტის პერიოდში.

2.1.3 შეუსრულებელი სახელშეკრულებო ვალდებულება

კრიტერიუმი: ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის მიერ FIDE-ის ყველა წევრი ქვეყნისათვის გაგზავნილი მოწვევის შესაბამისად, ღონისძიებაში მონაწილეობის მსურველი საჭადრაკო ორგანიზაციები ვალდებული იყვნენ 2018 წლის 23 აპრილიდან 2018 წლის 23 ივლისამდე პერიოდში, საქართველოს ჭადრაკის ფედერაციისათვის გადაეხადათ ოლიმპიადისა და კონგრესის ყველა მონაწილის¹⁹ რეგისტრაციის საფასური 100 ევროს ოდენობით (თითოეულ მონაწილეზე)²⁰, და ტრანსპორტის მომსახურების საფასური თბილისის, ქუთაისისა და ტრაპიზონის აეროპორტებიდან ბათუმამდე.²¹

¹⁸ 8.3 პუნქტი.

¹⁹ ოფიციალური პირების გარდა.

²⁰ აღნიშნული თანხა გათვალისწინებული იყო აკრედიტაციისა და ოლიმპიადის პერიოდში მოთამაშეთა შიდა ტრანსპორტირებისათვის.

²¹ ბათუმის აეროპორტიდან მგზავრობა იყო უფასო. ხოლო ერთ პერსონაზე ღირებულება თბილისიდან და ტრაპიზონიდან იყო 80 ევრო, ქუთაისიდან კი – 50 ევრო.

ფაქტობრივი გარემოება: ოლიმპიადიში მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს 186 ქვეყნის 2598-მა მოქალაქემ. საბანკო ამონაწერების შესაბამისად, დადგენილი იქნა, რომ ოლიმპიადიში მონაწილე ფედერაციების მიერ ჭადრაკის ფედერაციისათვის სარეგისტრაციო, სატრანსპორტო და სასტუმრო მომსახურებისათვის გადასახდელი იყო სულ 690,572, ევროს ეკვივალენტი – 2,067,696 ლარი, გადახდილია 677,199 ევროს ეკვივალენტი – 2.027,655 ლარი. ექვსი ქვეყნის²² საჭადრაკო ორგანიზაციის მიერ კი ოლიმპიადიში მონაწილეობის მიუხედავად სარეგისტრაციო და სატრანსპორტო მომსახურების სახით 13,373 ევროს ეკვივალენტი – 40,041 ლარი გადახდილი არ არის.

დასკვნა

- სპორტული ღონისძიებისთვის ხელმისაწვდომი ალტერნატიული დაფინანსების პირობებში გაიხარჯა საბიუჯეტო რესურსები, რამაც ფედერაციის საკუთარ ბიუჯეტში წარმოშვა დამატებით 903,544 ლარი. აღნიშნული ფულადი სახსრები ფედერაციამ გახარჯა სამთავრობო კომისიისა და სამინისტროს ნებართვის გარეშე, რამაც წარმოშვა საბიუჯეტო სახსრების არაეფექტიანი ხარჯვის რისკები;
- ხელშეკრულებით არ არის იდენტიფიცირებული და შედეგად, გაუმჭირვალეა ფედერაციის მხრიდან FIDE-ის წინაშე ნაკისრი ფულადი ვალდებულებების განსაზღვრის საფუძვლები. რიგ შემთხვევებში მოცემული ვალდებულებების მიხედვით ანგარიშგებისა და ხარჯვის დადასტურების კონტროლის მექანიზმი სუსტია.

რეკომენდაცია N1. სამინისტროს და ფედერაციას

საბიუჯეტო სახსრების კანონშესაბამისი, მიზნობრივი და ეფექტიანი ხარჯვის მიზნით, შეთანხმდეს და დაინერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც სპორტული ღონისძიების ხარჯების დაფინანსების ალტერნატიული წყაროს არსებობისას, უზრუნველყოფს გამოუყენებელი საბიუჯეტო სახსრების შემდგომი განკარგვის თაობაზე დროულ და ეფექტიან კომუნიკაციას.

რეკომენდაცია N2. ფედერაციას

საბიუჯეტო სახსრების ხარჯვის გამჭვირვალობის უზრუნველყოფის მიზნით:

- ს) FIDE-თან შეთანხმებული ფორმატით იდენტიფიცირდეს მის მიმართ ფინანსური ვალდებულებების აღების კონკრეტული საფუძვლები/კრიტერიუმები და შეთანხმდეს შესაბამისი უფლებამოსილ პირ(ებ)-თან და/ან მართვის ორგანო(ებ)-თან.
- ს) ხელშეკრულებით განისაზღვროს და დაინერგოს ისეთი ანგარიშგების სისტემა, რომელიც შესაბამისი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს გამოყოფილი საბიუჯეტო თანხების მიზნობრივ ხარჯვაზე კონტროლს.

²² ცენტრალური აფრიკის სახელმწიფო, გაბონი, გვატემალა, მაროკო, ნიგერია, პალაუ.

2.2 შესყიდვები

კრიტერიუმი: საქართველოში ჯადრაკის განვითარების სახელმწიფო პროგრამით გათვალისწინებულ საჯარო უფლებამოსილებას ახორციელებს ა(ა)იპ – საქართველოს ჯადრაკის ფედერაცია სამინისტროსთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე. მოცემული საჯარო ინტერესის რეალიზაციის პირობებში საბიუჯეტო სახსრების ხარჯვა უნდა ეფუძნებოდეს ეკონომიურობისა და ეფექტიანობის პრინციპებს. ამ პრინციპების დაცვის მიზნით, ფედერაციის მიერ სპორტული ღონისძიებების ორგანიზების ფარგლებში განხორციელებული, ასევე სხვადასხვა მომსახურების და მატერიალურ ფასეულობათა შესყიდვის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველს უნდა წარმოადგენდეს ბაზრის კვლევის შედეგები.²³

ფაქტობრივი გარემოება:

სხვადასხვა ინვენტარისა და აღჭურვილობის შესყიდვა რიგ შემთხვევებში განხორციელებულია ბაზრის კვლევისა და შესაბამისად, ალტერნატიული შეთავაზებების განხილვა/ანალიზის გარეშე.²⁴ კერძოდ 2017-2019 წლებში კავშირის მიერ 155,322 ლარის სხვადასხვა სახის ინვენტარის შესყიდვისას²⁵, ბაზრის კვლევის განუხორციელებლობის შედეგად, კონკრეტული მიმწოდებლის შერჩევა დაუსაბუთებელია.

ოლიმპიადის გახსნისა და დახურვის ცერემონიის ტექნიკური და შემოქმედებითი ორგანიზების მომსახურების შესყიდვის მიზნით 2018 წლის 16 ივლისს 977,258 ლარის მომსახურების შესყიდვაზე გამარტივებული წესით ბაზრის კვლევის გარეშე ხელშეკრულება გაფორმდა შპს „SMART EVENT“-თან. აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში ფედერაციისათვის მიწოდებული, 204,345 ლარის მატერიალური ფასეულობა მესამე პირებისგან შესყიდულია 164,923 ლარად. ფასნამატმა შეადგინა 39,422 ლარი.

2018 წელს 25,500 ლარის საჯადრაკო ინვენტარის შესყიდვაზე ხელშეკრულება ბაზრის კვლევის გარეშე გაფორმებული იქნა ფედერაციის გამგეობის წევრის მიერ ხელშეკრულების გაფორმებამდე რამდენიმე დღით ადრე დარეგისტრირებულ ინდ. მეწარმესთან.

დასკვნა

ბაზრის კვლევისა და შესაბამისად, ალტერნატიული წინადადებების განხილვა/შეფასების გარეშე მიმწოდებლის შერჩევა ზრდის საბაზრო პირობებთან შეუსაბამო ფასისა და მიწოდების პირობების ჩამოყალიბების რისკებს, რაც თავის მხრივ, იწვევს საჯარო სახსრების არაეკონომიურ ხარჯვას.

რეკომენდაცია N3. ფედერაციას

საჯარო უფლებამოსილების განხორციელების პროცესში ეკონომიურობის პრინციპების დაცვის მიზნით, ფედერაციის მიერ საქონლისა და მომსახურების შესყიდვა განხორციელდეს ბაზრის კვლევის ეტაპზე ალტერნატიული შეთავაზებების ანალიზისა და შეფასების საფუძველზე.

²³ ანგარიშსწორებისა და დაფინანსების წესის შესახებ სამინისტროს 2011 წლის 19 დეკემბრის N 180, 2018 წლის 10 მაისის N 03/172 და 2019 წლის 23 იანვრის N 69 ბრძანებები.

²⁴ ძირითადად საკუთარი შემოსავლებით შესყიდულ ფასეულობებზე.

²⁵ საჯადრაკო ინვენტარი, კომპიუტერული ტექნიკა. სხვადასხვა სახის პრიზები.

2.3 შიდა კონტროლის ნაკლოვანებები

2.3.1 აღრიცხვა- ანგარიშების ნაკლოვანებები

წესდების შესაბამისად²⁶ ფედერაციის გამგეობა უფლებამოსილია დაამტკიცოს ფედერაციის წლიური ბიუჯეტი, შეიმუშაოს ფედერაციის წლიური ბალანსი და ანგარიში. ყოველი წლის ბოლოს ფედერაციის გამგეობამ უნდა განიხილოს ფედერაციის ფინანსური მდგომარეობა და დაადგინოს მომავალი წლის სავარაუდო ბიუჯეტი.

გამგეობის მხრიდან ფედერაციის საქმიანობაზე კონტროლი, წესდების შესაბამისად სათანადოდ განხორციელებული არ არის, კერძოდ: შესამოწმებელ პერიოდში ფედერაციის წლიური ბიუჯეტი გამგეობის მიერ დამტკიცებულია მხოლოდ 2019 წელს, ხოლო ყოველი წლის ბოლოს ფედერაციის ფინანსური მდგომარეობის განხილვა და მომავალი წლის სავარაუდო ბიუჯეტის შედგენა არ განხორციელებულა.

2.3.2 შრომის ანაზღაურება

ადამიანური რესურსის მართვისა და შრომის ანაზღაურების კუთხით გამოვლინდა შემდეგი სახის შეუსაბამოები, კერძოდ:

- 1) ფედერაციის სპორტული კალენდრით გათვალისწინებულ ღონისძიებებზე, დროებით კონკრეტული სამუშაოების შესრულების მიზნით დაქირავებულ პირებთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებითა და ფედერაციის სხვა ოფიციალური დოკუმენტებით, რიგ შემთხვევებში დადგენილი არ არის დასაქმებულის მიერ კონკრეტულად შესასრულებელი სამუშაო.
- 2) შრომის დროითი სისტემით ანაზღაურების შემთხვევებში, ფაქტიურად ნამუშევარი დროის აღრიცხვის მექანიზმები დანერგილი არ არის (ტურნიკეტი და სხვა).
- 3) ფედერაციის შესაბამისი ბრძანებების საფუძველზე, მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის საორგანიზაციო კომიტეტის თანამშრომლებზე ზეგანაკვეთური სამუშაოს ანაზღაურების სახით გაცემულია 83,320 ლარი. გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით არ არის განსაზღვრული ზეგანაკვეთური სამუშაო დროის აღრიცხვის და მისი ანაზღაურების წესი.

2.3.3 ქონების მართვა- აღრიცხვა

2018 წლის მსოფლიოს 43-ე საჭადრაკო ოლიმპიადის ორგანიზების მიზნით, ფედერაციის მიერ შესყიდულ იქნა 834,829 ლარის ღირებულების სხვადასხვა დასახელების მატერიალური ფასეულობები. აღნიშნული მატერიალური ფასეულობიდან 336,702 ლარის ღირებულების ფასეულობები, მათ შორის, ძირითადი აქტივები 2018 წლის 5 ოქტომბრიდან ინახება გამოუყენებელ მდგომარეობაში, კერძოდ: 132,356 ლარის აქტივები დასაწყობებულია ფედერაციის საწყობში, ხოლო 204,345 ლარის ფასეულობები დროებით შენახვაზეა სსიპ – თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის და დრამის პროფესიულ თეატრში. გამოუყენებელი აქტივების განკარგვასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების თაობაზე ფედერაციის 2019 წლის 11 სექტემბრის N 322 წერილით ეცნობა სამინისტროს, რაზეც რეაგირება დღემდე არ განხორციელებულა.

²⁶ წესდების მე-14, მე-15 და მე-18 მუხლები.

2.3.4 მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია

2018 წელს ძირითადი საშუალებებისა და სასაქონლო მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაციები ჩატარებულია არასრულყოფილად, კერძოდ, ჩატარებულია მხოლოდ ოლიმპიადის ფარგლებში შესყიდულ, ფედერაციის ოფისში არსებულ მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია²⁷. სსიპ – თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიულ თეატრში დროებით შენახვაზე არსებულ მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია კი არ ჩატარებულა.

აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში²⁸ ფედერაციის 2018 წლის 22 ივლისის N 53 ბრძანების საფუძველზე შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის მიერ, სსიპ – თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიულ თეატრში ჩატარდა დროებით შენახვაზე არსებულ მატერიალურ ფასეულობათა სრული ინვენტარიზაცია. ინვენტარიზაციით დაფიქსირდა ორი დასახელების მატერიალურ ფასეულობის დანაკლისი, 3,710 ლარის ოდენობით.

2.3.5 დავალიანება სამინისტროს მიმართ

ოლიმპიადის მზადებისათვის 2018 წლის მე-3 კვარტლის ხარჯების დაფინანსების უზრუნველყოფის მიზნით, სამინისტროსა და ფედერაციას შორის 2018 წლის 11 ივლისს გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად,²⁹ ფედერაციას ჩაერიცხა 12,756,105 ლარი. აღნიშნულ თანხაზე სამინისტროსა და ფედერაციას შორის შესაბამისი მიღება - ჩაბარების აქტი დღეის მდგომარეობით გაფორმებული არ არის.

დასკვნა

არაეფექტიანი კონტროლის გარეშე და ცალკეულ პროცესში კონტროლის მექანიზმების არარსებობა ზრდის ფულადი სახსრების და მატერიალური ქონების არამიზნობრივი და არაეფექტიანი გამოყენების რისკებს.

რეკომენდაცია N4. ფედერაციას

დასაქმებული პირის მიერ გაწეული საქმიანობის შეფასების მიზნით, შრომითი ხელშეკრულებით კონკრეტულად განისაზღვროს დასაქმებულის მიერ შესასრულებელი სამუშაოების სახე ან კონკრეტული თანამდებობრივი პოზიციის მიხედვით შემუშავდეს სამუშაო აღწერილობები. სამუშაო დროის აღრიცხვის მიზნით დაინერგოს ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს შრომის ანაზღაურების მატერიალური საფუძვლების შექმნას.

რეკომენდაცია N5. ფედერაციას

კანონმდებლობით გათვალისწინებული პერიოდულობით განხორციელდეს აქტივების ინვენტარიზაცია და, მისი შედეგების შეფასების საფუძველზე, უზრუნველყოფილ იქნეს მათი ეფექტიანი მართვა.

აუდიტორები

მურმან დარაბევიძე
წამყვანი აუდიტორი

მამუკა ჯოხაძე
წამყვანი აუდიტორი

ხელმოწერა



²⁷ სსიპ – თბილისის ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიისა და დრამის პროფესიულ თეატრში დროებით შენახვაზე არსებულ მატერიალურ ფასეულობათა ინვენტარიზაცია კი არ ჩატარებულა.

²⁸ აუდიტის ჯგუფის მოთხოვნის საფუძველზე.

²⁹ N 1352ს/ფ.

2020

ნინო ზუხნივაშვილი
აუდიტორი

კახა კუპრავა
აუდიტორ - ასისტენტი

ნ. ზუხნივაშვილი
კ. კუპრავა

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და სოციალური
მედია<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38